ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲓᲘᲗ!

СССР

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 46-Ე ᲬᲚᲘ. № 228 (13313) | ᲙᲕᲘᲠᲐ, 26 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1965 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ

30.678 ᲢᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ

30.746 ᲢᲝᲜᲐ „ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲝᲥᲠᲝ“

ᲛᲔᲠᲩᲐᲘᲔᲗᲐᲒᲝ! ᲐᲠ ᲨᲔᲕᲐᲜᲔᲚᲝᲗ ᲢᲔᲛᲐᲘ, ᲛᲝᲥᲠᲘᲣᲤᲔᲗ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲠᲐ ᲐᲕᲘᲜᲦᲘᲗ!

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ 2.000 ᲢᲝᲜᲐ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ 25 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲕᲔ ᲘᲒᲠᲣᲜᲝᲓᲐ ᲡᲐᲮᲘᲗᲛᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ. 30.678 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ. ᲐᲭᲐᲠᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲑᲗᲐ ᲛᲝᲙᲠᲘᲤᲣᲚᲘ 30.746 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲑ. Ლ. Მ. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ:

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ. ᲐᲭᲐᲠᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲑᲗᲐ ᲛᲝᲙᲠᲘᲤᲣᲚᲘ 30.746 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲑ. Ლ. Მ. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲔᲠᲩᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ. ᲐᲭᲐᲠᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲝᲜᲗᲐ ᲛᲘᲛᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ

საერთაშორისო ცხოვრება

უღრმესი მადლობა

ყარაჩი, 24 სექტემბერი. (საკდესი). „პაკისტანი უღრმეს მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობას, რომელმაც დახმარება შემოგვთავაზა ქაშმირის გამო შექმნილი ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის გადაჭრაში“, — იუწყება ასოშიეიტედ პრეს ოფ პაკისტანის საგენტო.

ოფიციალურ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, ნათქვამია ცნობაში, რომ პაკისტანი დიდად აფასებს იმ წვლილს, რომელიც სსრ კავშირს, როგორც დიდ სახელმწიფოს შეუძლია შეიტანოს ამ კონფლიქტის მოწესრიგებაში. აქ მიიჩნიეთ, რომ საბჭოთა კავშირს შეუძლია დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულოს და საჭირო პირობები მოამზადოს პაკისტანის პრეზიდენტის აიუბ ხანისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის შასტრის შეხვედრისათვის.

დელი, 24 სექტემბერი. (საკდესი). „უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ როლს, რომელსაც საბჭოთა კავშირი ასრულებს ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზის გამოძებნაში“, — წერს კალკუტის გაზეთი „ჯუგანტარი“, რომელიც განმარტავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის წერილებს პრემიერ-მინისტრ ლალ ბაჰადურ შასტრისა და პაკისტანის პრეზიდენტ მოჰამედ აიუბ ხანისადმი. „საბჭოთა კავშირის პრემიერ-მინისტრის ეს ინიციატივა, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — სავსებით გულწრფელია, მისი მიზანია მშვიდობის განმტკიცება მთელ მსოფლიოში. ინდოეთი მადლობას უძღვნის საბჭოთა პრემიერს ამ წინადადებისათვის“.

„უნდა მივესალმოთ მოსკოვის წინადადებას შუამდგომლობის შესახებ“,— წერს გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“. — იგი კვლავ ადასტურებს საბჭოთა კავშირის პოზიციას, რომელსაც მიაჩნია, რომ ინდოეთ-პაკისტანის პრობლემები უნდა გადაიჭრას ორი ქვეყნის პირდაპირი მოლაპარაკების საფუძველზე სხვა სახელმწიფოთა ჩაურევლად.

ვიზიტი მეგობრულ ვითარებაში

ვენა, 23 სექტემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა კომუნიკე იმის შესახებ, რომ ავსტრიაში ვიზიტად იყო პოლონეთის მთავრობის დელეგაცია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იუზეფ ცირანკევიჩის მეთაურობით.

როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, ვიზიტის დროს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა და ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა ი. კლაუსმა ფართოდ გაუზიარეს ერთმანეთს აზრი ორივე ქვეყნისათვის საინტერესო საკითხებზე. მოლაპარაკება მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ პოლონეთ-ავსტრიის ურთიერთობა სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის ქვეყნების ნაყოფიერი თანამშრომლობის განხორციელებისა და განვითარების შესაძლებლობის იმედის მიმცემი მაგალითია.

მშვიდობის სადარაჯოზე

ბერლინი, 25 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის ფრიდრიხ ენგელსის სახელობის სამხედრო აკადემიაში გუშინ დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების მხედართმთავართა ორი დღის კოლოკვიუმი თემაზე: „დასავლეთგერმანული იმპერიალიზმი ომს ამზადებს“.

როგორც ადნის საინფორმაციო იუწყება, ამ კოლოკვიუმში, რომელიც მოეწყო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, მონაწილეობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მომე არმიების წარმომადგენლები. საბჭოთა არმიის წარმომადგენლები იყვნენ არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი და გენერალ-პოლკოვნიკი ს. ბ. ვასილგენი.

ფრანგი კომუნისტების გადაწყვეტილება

პარიზი, 23 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტია მხარს უჭერს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ფრანსუა მიტერანის კანდიდატურას — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო დღეს საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც განიხილა საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის ვალდეკ როშეს მოხსენება.

აღს. ვალდეკ როშემ პლენუმის ეს გადაწყვეტილება გამოაცხადა პრეს-კონფერენციაზე, რომელსაც ბევრი ჟურნალისტი დაესწრო.

მავრიკის მომავალი

ლონდონი, 24 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის კოლონიის მავრიკის კონსტიტუციური წყობილების საკითხისადმი მიძღვნილი კონფერენციის დასკვნითს სხდომაზე დღეს კოლონიათა მინისტრმა გრინვუდმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გადაწყვიტა დამოუკიდებლობა მიანიჭოს მავრიკის.

დიდი პაექრობა

გენერალური ასამბლეის XX სესიაზე

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე გუშინ დაიწყო საერთო დისკუსია. ჩვეულებრივ დისკუსია რამდენსაც კვირაც გრძელდება, რადგან მასში, მონაწილეობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლები. ამჟამად კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 117 წევრია.

საერთო დისკუსია რამდენიმე ავლენს სახელმწიფოთა პოზიციებს, დამოკიდებულებას მათი თვალსაზრისით ყველაზე აქტუალური და დიდმნიშვნელოვანი პრობლემებისადმი.

დისკუსია ასახავს იმ მძაფრ ბრძოლას, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე წარმოებს იმათ შორის, ვინც მხარს უჭერს მშვიდობის განმტკიცებას და ხალხთა უშიშროებას, ომის საფრთხის თავიდან აცილებას და სხვა სახელმწიფოთა საქმეებში იმპერიალისტური ჩარევის ლიკვიდაციას და იმ ძალებს შორის, რომლებიც ამას უპირისპირებენ თავიანთ აგრესიულ კურსს.

ჩვეულებრივ დისკუსიის დროს ესა თუ ის სახელმწიფოები წამოაყენებენ და ასაბუთებენ ხოლმე თავიანთ ყველაზე დიდმნიშვნელოვან წინადადებებს.

გუშინ საერთო დისკუსიაში გამოვიდნენ ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვასკო და კუნია, სენეგალის საგარეო საქმეთა მინისტრი დუდუ ტიამი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღეკანდელ დილის სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია. ცენტრალური მოვლენა იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს გამოსვლა. რომელმაც ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი.

(საკდეს). გუშინ გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა XX სესიის წინასწარი დღის წესრიგი, რომელიც ასზე მეტ პუნქტს შეიცავს.

სესიის მუშაობაში თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს განიარაღების პრობლემები, კერძოდ საკითხი იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნეს ბაოფლიო კონფერენცია განიარაღების საკითხებზე, და კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განხორციელება. ცალკეულ პუნქტებად დღის წესრიგში შეტანილია საკითხები ომანის, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის, სამხრეთ აფრიკის რეპუბლიკის მთავრობის აპარტეიდის პოლიტიკის შესახებ.

„ტიბეტის საკითხი“ — პუნქტი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მითითებით ფილიპინებმა, სალვადორმა და ნიკარაგუამ წამოაყენეს — დღის წესრიგში შეიტანეს სახელმთავრო ხმის მიცემის შემდეგ 41 ხმის უმრავლესობით, 46-მა თვი შეიკავა.

გენერალური კომიტეტი განიხილავს და დაგაწყვეტს საკითხს, რომ გენერალური ასამბლეის XX სესიის დღის წესრიგში შეიტანონ ორი დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო პუნქტი: „დაუშვებელია სახელმწიფოთა სამხედო საქმეებში ჩარევა, და მათი დამოკიდებლობისა და სუვერენიტეტის შელახვა“ და „ატომური იარაღის გაუვრცელებლობა“. საბჭოთა მთავრობის დაკალებით ეს ორი დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო საკითხი ასამბლეაზე წამოაყენა ა. ა. გრომიკომ. ასამბლეამ დაამტკიცა აგრეთვე დღის წესრიგის პუნქტების განაწილება კომიტეტების მიხედვით და განსაზღვრა მუშაობის წესი. გადაწყვეტილია, რომ მეოცე სესია დამთავრდეს 1965 წლის 21 დეკემბერს.

გენერალური ასამბლეის XX სესიაზე

◆

პოზიცია თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეის XX სესიამ მუშაობა დაიწყო რთულ და დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო საქმეებში საბჭოთა კავშირის კურსია — მშვიდობის, ხალხთა დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის უფლებათა დაცვა, ბრძოლა განიარაღებისათვის, სახელმწიფოთა ფართო ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის საფუძველზე.

საბჭოთა მთავრობის დავალებით ა. ა. გრომიკომ წამოაყენა წინადადება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ როგორც დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო პუნქტი განიხილოს საკითხი, რომ შეიწყნარებელია სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა, რომ საჭიროა მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა.

ა. ა. გრომიკომ წამოაყენა აგრეთვე წინადადება, რომ გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში, როგორც დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო საკითხი შეიტანონ ახალი პუნქტი „ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ“ და წარადგინა შესაბამისი ხელშეკრულების პროექტი.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გადაჭრით დაგმო აფრიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ებმარებოდა და კელავ დაეხმარება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ა. ა. გრომიკომ სესიის მონაწილეებს მოაგონა საბჭოთა მთავრობის პოზიცია ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტში და გამოთქვა იმედი, რომ სათანადო მოქმედების შეწყვეტას ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე მოაყვება ინდოეთისა და პაკისტანის ახალი მეცადინეობა, რათა კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარონ ერთმანეთთან, და, რომ მოლაპარაკების დროს გონივრულად გადაჭრიან მათ შორის არსებულ პრობლემებს.

გენერალური ასამბლეის დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი პოლ მარტინი და ურუგვაის საგარეო საქმეთა მინისტრი საგლიო, მარტინმა განაცხადა, რომ ინტერესით ეკიდება წინადადებებს, რომლებიც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ წამოაყენა.

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი.

(საკდეს). გუშინ გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა XX სესიის წინასწარი დღის წესრიგი, რომელიც ასზე მეტ პუნქტს შეიცავს.

სესიის მუშაობაში თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს განიარაღების პრობლემები, კერძოდ საკითხი იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნეს ბაოფლიო კონფერენცია განიარაღების საკითხებზე, და კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განხორციელება. ცალკეულ პუნქტებად დღის წესრიგში შეტანილია საკითხები ომანის, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის, სამხრეთ აფრიკის რეპუბლიკის მთავრობის აპარტეიდის პოლიტიკის შესახებ.

„ტიბეტის საკითხი“ — პუნქტი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მითითებით ფილიპინებმა, სალვადორმა და ნიკარაგუამ წამოაყენეს — დღის წესრიგში შეიტანეს სახელმთავრო ხმის მიცემის შემდეგ 41 ხმის უმრავლესობით, 46-მა თვი შეიკავა.

გენერალური კომიტეტი განიხილავს და დაგაწყვეტს საკითხს, რომ გენერალური ასამბლეის XX სესიის დღის წესრიგში შეიტანონ ორი დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო პუნქტი: „დაუშვებელია სახელმწიფოთა სამხედო საქმეებში ჩარევა, და მათი დამოკიდებლობისა და სუვერენიტეტის შელახვა“ და „ატომური იარაღის გაუვრცელებლობა“. საბჭოთა მთავრობის დავალებით ეს ორი დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო საკითხი ასამბლეაზე წამოაყენა ა. ა. გრომიკომ. ასამბლეამ დაამტკიცა აგრეთვე დღის წესრიგის პუნქტების განაწილება კომიტეტების მიხედვით და განსაზღვრა მუშაობის წესი. გადაწყვეტილია, რომ მეოცე სესია დამთავრდეს 1965 წლის 21 დეკემბერს.

ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე

ინდოეთ-პაკისტანის

დელი, 24 სექტემბერი. (საკდესი). ინდოეთის თავდაცვის მინისტრმა ი. ბ. ჩავანმა გუშინ პარლამენტში განაცხადა, რომ „პაკისტანელი პარტიზანები კვლავ იერეგენან ინდოეთის ქაშმირის ტერიტორიაზე. ინდოეთის არმიას მიეცა მკაცრი განკარგულება მიიღოს სათანადო ზომები“.

ინდოეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა შეიარაღებულმა პაკისტანელებმა გუშინ გადაჭრეს ინდოეთ-პაკისტანის ცეცხლის შეწყვეტის ხაზი ქაშმირში, ჯპანგარის ჩრდილოეთით, 144 კილომეტრზე ჯამუს ჩრდილო-დასავლეთით. მაგრამ მალე ინდოეთის სარდლობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა მოთხოვნით პაკისტანელები წავიდნენ ინდოეთის ტერიტორიიდან. პაკისტანის ჯარებმა გადაჭრეს აგრეთვე ფაქტიური კონტროლის ხაზი სამ კილომეტრზე ჩავნდის ჩრდილო-აღმოსავლეთით პაკისტანის სიალკოტ-პასრურის რკინიგზის ხაზზე. ინდოეთის მხრივ გაფრთხილების შემდეგ ჯარები დაბრუნდნენ თავიანთ პოზიციებზე.

ინდოეთის თავდაცვის სამინისტრო იმოწმებს წინასწარ მონაცემებს და იუწყება, რომ „ინდოეთის სამოქალაქო მოსახლეობაში პაკისტანის ბომბებით დაიხოცა 400-ზე მეტი და დაიჭრა 500 კაცი. აქ არ შედის 32 კაცი, რომელიც დაიხოცა ჯოდჰპურზე მოწინააღმდეგის ავიაციის უეანასკნელი თავდასხმის დროს და 50 კაცი, რომელიც დაიხოცა ამრიტსარის დაბომბვის დროს. 130 კაცი დაიხოცა პაკისტანის სადესანტო ჯგუფებთან შეტაკების დროს“.

გუშინ პრემიერ-მინისტრმა ლ. ბ. შასტრიმ ინდოეთის მოსახლეობას განუცხადა, რომ თუ პაკისტანი კვლავ თავს დაესხმის ქაშმირის ან ინდოეთის ტერიტორიის რომელიმე სხვა ნაწილს, „ინდოეთი ამ გამოწვევას მთელი ძალითა და სიმტკიცით უპასუხებს“. „დაუშვებელია გავაუქმეთ, — თქვა პრემიერ-მინისტრმა, — მაგრამ არ უნდა მოვტყუვდეთ და ეს მშვიდობის გარიერად არ „ „და მივიჩნიოთ“. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და ყველას, ვინც მშვიდობას ეაწრაფვის, აქვთ უფრო დიდმნიშვნელოვანი საქმე — ბოლო მოუღონ უფრო ღრმა კონფლიქტს ორ სახელმწიფოს შორის.

ყარაჩი, 24 სექტემბერი. (საკდესი). მთელ დასავლეთ პაკისტანში გაიაქტივდებელება, რომელიც 6 სექტემბერს შემოიღეს. გაუქმებულია აგრეთვე კომენდანტის საათი, რომელიც ზოგიერთ ქალაქში იყო შემოღებული. ეს გადაწყვეტა პაკისტანის რადიომ.

როგორც პაკისტანის წარმომადგენლებმა განაცხადეს, პაკისტანის ჯარებმა „ახლა უკავიათ 500 კვადრატული მილი ინდოეთის ტერიტორია რაჯასტანში და 300 კვადრატული მილი ქაშმირში, რომელიც ინდოეთის კონტროლს ექვემდებარება“. ოფიციალური მონაცემებით ბრძოლების დროს პაკისტანის შეიარაღებულმა ძალებმა „ტყვედ წაიყვანეს 83 ინდოელი სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის 17 ოფიცერი“.

რადიოსადგურმა „ქაშმირის ხმამ“ გამოსცა, მაშინ, როცა მთელ ფრონტზე შეწყდა პაკისტანისა და ინდოეთის ჯარების ცეცხლი, „თავისუფლებისათვის მებრძოლნი“ ქაშმირში აქტიურად მოქმედებენ ინდოელთა წინააღმდეგ. ამ რადიოს ცნობით, ქაშმირში მომხდარი შეტაკებების დროს უკანასკნელ 24 საათში დახოცეს 80 ინდოელი ჯარისკაცი. თავს დაესხნენ სამხედრო ბაზრავს, რომელიც სრინაგარ-კარგილის გზაზე მიდიოდა. დახოცეს 16 ინდოელი და მოსპეს 7 ავტომანქანა.

ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით პაკისტანის პრეზიდენტმა აიუბ ხანმა მიმართა პაკისტანელებს და განაცხადა, „ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრება, თუ სურთ ამ რაიონში მტკიცე მშვიდობა დამყარონ, — თქვა პრეზიდენტმა, — სასწრაფოდ უნდა დაიწყონ ქაშმირის დავის საპატიო მოწესრიგება. თუ უშიშროების საბჭო ამას არ იზამს, ჩვენს კონტინენტზე გაცილებით უფრო ფართო კონფლიქტი დაიწყებაო“.

მთავრობის მემორანდუმი

პანოი, 24 სექტემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წინადადების გამო მოაწყოს „საზავო მოლაპარაკება“ ვიეტნამის პრობლემის მოსაწესრიგებლად.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც წაიწყდა მთელი მსოფლიოს ხალხთა, მათ შორის ამერიკელ ხალხის სულ უფრო მტკიცე პროტესტს ვიეტნამში ამერიკის აგრესიული პოლიტიკისა და ომის წინააღმდეგ, აღნიშნულია მემორანდუმში, რომელიც ვიეტნამის დეპეშათა სააგენტომ გადასცა, იძულებული იყო დაეწყო ფარისეველური ლაპარაკი „საზავო ხელშეკრულების“ შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების გეგმა ეს არის, რომ შეეცადოს მოლაპარაკების დროს მიაღწიოს იმას, რასაც ბრძოლის ველზე ვერ მიაღწია.

მემორანდუმში აღნიშნულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოთხი პუნქტი, რომლებიც მოითხოვენ ვიეტნამელი ხალხის ეროვნული უფლებების — დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ერთობლივ ვიეტნამელი ხალხის მტკიცე ერთიანობის პატივისცემას და ერთადერთი სწორი საფუძველია ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგებისათვის.

ერაყის ამბები

ბაზაზის პრეს-კონფერენცია

ბაღდადი, 24 სექტემბერი. (საკდესი). ერაყის პრემიერ-მინისტრმა ბაზაზმა გუშინ მოაწყო პრეს-კონფერენცია ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

ბაზაზი შეეხო უკანასკნელ ცდას ერაყში მოეწყოთ სახელმწიფო გადატრიალება და განაცხადა, რომ ამ ცდაში მონაწილეობდა 65 კაცი. აქედან 29 სამხედრო პირი დაუპატიმრეს, 16 გაიქცა, დაუპატიმრეს აგრეთვე 6 სამოქალაქო პირი. 2 კაცს შინაპატიმრობა დაუწესეს.

შემდეგ მან განაცხადა, ჩემი მთავრობა „გადაჭრით გმობს წამებას და იმ დამაცირებელ მეთოდებს, რომლებსაც ყველა წინა მთავრობა იყენებდა“ თავისი მოწინააღმდეგეების მიმართო.

შეეხო რა ერაყის ეკონომიურ მდგომარეობას, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ერაყი იელის „ჯანსაღი არაბული სოციალიზმის“ გზით, რომელიც, როგორც მან თქვა, „დაკავშირებული არ არის რომელიმე გარკვეულ თეორიასთან“. ერაყისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ურთიერთობა „კარგი და ჯანსაღია“, განაცხადა ბაზაზმა.

შეკითხვაზე, თუ რა მდგომარეობაა ჩრდილოეთ ერაყში, პრემიერ-მინისტრმა უპასუხა: „ჩვენ მომე ქურთების წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ მოსახლეობის იმ ჯგუფების წინააღმდეგი ვართ, რომლებიც ძირს უთხრიან ამ რაიონის სტაბილურობას... ჩვენი აზრით, ერაყი ერთი ქვეყანაა და ქურთებს თავიანთი კანონიერი უფლებები აქვთ“. მან აღნიშნა, რომ ერაყის მთავრობა „მხარს უჭერს მშვიდობიან მოწესრიგებას, თუ მეორე მხარე მზად არის ამისათვის“.

ამერიკელები სამხრეთ ვიეტნამში

ამერიკელი ჯარისკაცები მშვიდობიან სოფელზე თავდასხმის შემდეგ. „ჯეკ, დღეს ჩემი ქალიშვილის დაბადების დღეა“.

წარწერა ჯვარზე: „ჯონ სმიტმა სიცოცხლე შესწირა....“ ერთი ჯარისკაცი მეორეს ეკითხება: „კაცმა რომ თქვას, რას შესწირა მან სიცოცხლე?“

ნახატი ჟურნალ „ოლენშპიგელიდან“ (გდრ).

დედამიწა და მისი პროგლემები

გეოლოგთა საერთაშორისო კოლოკვიუმი

◆

24 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო გეოლოგთა საერთაშორისო კოლოკვიუმმა ევროპისა და მცირე აზიის ალპური ნაოჭა ზოლის ტექტონიკის საკითხებზე. კოლოკვიუმი მოეწყო გეოლოგთა საერთაშორისო კონგრესის XXII სესიისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით. კოლოკვიუმი მოიწვიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებამ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ.

ეს მეცნიერთა პირველი საერთაშორისო ფორუმია, რომელიც მიეძღვნა დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე მოძრავი ზონის — იმ სარტყელის გეოლოგიური აგებულებისა და განვითარების პრობლემას, რომელიც გადაჭიმულია გიბრალტარის სრუტიდან ჰიმალაის მთებამდე და სამხრეთ-აღმოსავლთ აზიამდე. შემთხვევითი როდია, რომ კოლოკვიუმზე შეიკრიბნენ მსოფლიოს 20 ქვეყნის წარმომადგენლები.

საქართველოს დედაქალაქში ჩამოსულ მეცნიერებს შორის არიან თვალსაჩინო საბჭოთა და უცხოელი გეოლოგები: აკადემიკოსი ა. პეივე, პროფესორები ვ. ხაინი, ა. ბოგდანოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ა. ჯანელიძე, გ. ძოწენიძე, რუსეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ი. ბუაჩიძე, ა. ცაგარელი და სხვები. უცხოეთის გეოლოგიის წარმომადგენლები არიან ფრანგი მეცნიერები — გეოლოგთა საერთაშორისო კონგრესის მსოფლიოს გეოლოგიური რუკის კომისიის თავმჯდომარე ჟ. მარსე, ჰიდროგეოლოგთა საერთაშორისო კავშირის გენერალური მდივანი ლ. დიუბერტრე, ამერიკის ტექტონიკური რუკის რიდაქტორი ფ. კიხი (ამერიკის შეერთებული შტატები), ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ზოუბეკი, თეირანის უნივერსიტეტის გეოლოგიის განყოფილების დირექტორი ი. სტოკლინი და ბევრი სხვა.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელსაც განიხილავენ თბილისის მეცნიერთა ფორუმის მონაწილენი, არის ევროპის ტექტონიკური რუკის გადასინჯვა. ეს საერთაშორისო რუკა გასული წლის დამლევს ნაჩვენები იყო საერთაშორისო კონგრესზე დელიში. მაგრამ მას აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი, სჭირდება დაზუსტება, დამუშავება და მეორედ გამოცემა.

ფორუმი განიხილავს აგრეთვე რეგიონალური გეოლოგიის, დედამიწის ქერქის ძირითადი სტრუქტურული ფორმების ჩამოყალიბების, დედამიწის ქერქის სიღრმის აგებულებისა და ევოლუციის და სხვა საკითხებს.

შესავალი სიტყვით კოლოკვიუმი გახსნა გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ა. ჰეივე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი თ. დავითაია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს თავმჯდომარე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. გუჯეჯიანი, თურქეთის გეოლოგიური სამსახურის დირექტორი დოქტორი ერენტაი, რუმინეთის გეოლოგიური სამსახურის დირექტორი, აკადემიკოსი ა. კადარჩა, მსოფლიოს გეოლოგიური რუკის კომისიის თავმჯდომარე ჟ. მარსე.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. გამყრელიძემ წაიკითხა მოხსენება „კავკასიონის ტექტონიკური აგებულების ძირითადი ნიშნები“. კავკასიონის მთებში ვულკანურ მოვლენათა განვითარებას მთ გეოტექტონიკურ ისტორიასთან დაკავშირებით მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ძოწენიძემ. მოხსენება „ალპური გეოსინკლინალური სარტყლის შინაგანი (მცირეკავკასიონის) სეგმენტის ტექტონიკური განვითარება“ წაიკითხა აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. აზიზბეკოვმა.

გეოლოგთა ფორუმი 8 ოქტომბრამდე გაგრძელდება. ამ დროის მანძილზე კოლოკვიუმის მონაწილენი იმოგზაურებენ ჩვენს რესპუბლიკაში.

აზერბაიჯანის ხელოვნების დეკადა ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 24 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ჩეხოსლოვაკიაში დაიწყო აზერბაიჯანის კულტურისა და ხელოვნების დეკადა. პრაღაში საზეიმოდ გაიხსნა დეკადა, რომელსაც დაესწრნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი, მოძმე რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის აქტივისტები.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასკომის სესია

სანტიაგო, 24 სექტემბერი. (საკდესი). ევროპის, აზიისა და ლათინური ამერიკის ოცდაათი ქვეყნის ჟურნალისტთა ორგანიზაციების 60-ზე მეტი დელეგატი მონაწილეობს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასკომის ყოველწლიური სესიის მუშაობაში, რომელიც აქ გუშინ დაიწყო. სესია გახსნა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა ალ-მორის ერმანმა.

სხდომის მონაწილეები მხურვალედ შეხვდნენ დომინგოს რესპუბლიკის ჟურნალისტთა წარმომადგენელს ალბერტო მალგარეს. მან დომინგოელი ხალხის სახელით დიდი მადლობა უძღვნა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციას დახმარებისა და დომინგოელ ხალხთან სოლიდარობისათვის.

დღის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ირეი მალინერმა. სესიის მონაწილეებმა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციაში მიიღეს სირიისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჟურნალისტთა ორგანიზაციები და პანამისა და ვენესუელის ჟურნალისტთა ჯგუფები.

მადადგა სირიის მთავრობა

დამასკო, 23 სექტემბერი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გადადგა სირიის მთავრობა, რომელსაც გენერალი ამინ ჰაფეზი მეთაურობდა.

ახალი კაბინეტი 21 კაცის შემადგენლობით შექმნა სირიის ეროვნული რევოლუციური საბჭოს წევრმა დოქტორმა იუსეფ ზეინმა.

ერთიანობა კიბოს წინააღმდეგ

კარიზი, 24 სექტემბერი. (საკდესი). ლიონი გახდება ქალაქი, სადაც იმუშავებს კიბოს კვლევის საერთაშორისო ცენტრი. ეს გადაწყვეტილება გუშინ მიიღეს ლიონში ცენტრის ხელმძღვანელი კომიტეტის სხდომაზე. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულება იქნება ყველა ქვეყანაში ონკოლოგიის დარგის მეცნიერული კვლევის შედეგების შეკრება და გავრცელება, ეპიდემიოლოგიური კვლევა, მეცნიერული კადრების მომზადება, კიბოს დაავადებათა დარგში კვლევის წარმართვა.

საერთაშორისო ცენტრის ბიუჯეტი განსაზღვრულია ორი მილიონი დოლარით, რასაც შესატანის სახით გადაიხდიან ამ ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნები.

ქალაქ ლიონის მუნიციპალიტეტმა ამ ცენტრს დაუთმო ლიონის ერთ-ერთი შენობა.

ნიღბები აქლიმატიზაციისათვის

იაპონელმა სპორტსმენებმა გადაწყვიტეს არ დათმონ მექსიკაში ოლიმპიურ ასპარეზობაზე ის პოზიციები, რომლებიც თავიანთ სამშობლოში წარსული ოლიმპიადის დროს მოიპოვეს.

ეს ამ დღეებში განუცხადა ინტერვიუში ჟურნალისტებს იაპონიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა. კომიტეტის წარმომადგენელმა აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ იაპონიის სპორტულმა ორგანიზაციებმა ამჟამად შექმნეს სპეციალური კომისია, რომელიც გამოიკვლევს მექსიკაში გამოსვლებისათვის იაპონელ სპორტსმენთა უკეთ მომზადების ყველა შესაძლებლობას.

„თუ ტოკიოს ოლიმპიადაზე, — თქვა მან, — იაპონელ სპორტსმენთათვის საერთოდ არ არსებობდა აქლიმატიზაციის საკითხი, ახლა იგი ჩვენთვის უაღრესად სერიოზულ პრობლემად იქცევა“.

ამ აზრს ეთანხმება იაპონიის ჭიდაობის ფედერაციაც, რომელმაც უკვე წამოაყენა კონკრეტული წესი სპორტსმენთა მომზადებისა ზღვის დონიდან 2250 მეტრ სიმაღლეზე გამოსასვლელად. ქალაქი მეხიკო-სიტი ასეთ სიმაღლეზე მდებარეობს.

შექმნილია სპეციალური ნიღბები, რომლებსაც სპორტსმენები სახეზე იკეთებენ და რომლებიც დაახლოებით ისეთ პირობებს ქმნიან, როგორშიც ს

ეს იყო ამ ათიოდე დღის წინათ.

ვერტმფრენმა მაღლა-მაღლა აიწია. ჩვენს ქვემოთ მთები და ხეობები, ვაკე და ნაპრალები მოჩანან. რამდენ მთაგრეხილს გადავუქროლებთ, იმდენი ახალი „ორნამენტი“ იხატება — ზოგს ჩაწნული ხაზები ამშვენებს, ზოგს ჩაგვირისტებული... უფრო ხშირად ამობურცული და ფესვებჩაგრეხილი თავწოწორა მთებია — ჯერ ტყით დაფარული, შემდეგ კი სულ შიშველ-ტიტველი.

ნიალი შემოცურდა მთებში და „ჩუქურთმებს“ ზეწარივით გადაეფარა, მერე ღრუბლის თეთრი ფთილები აგვედევნა და, თითქოს ახლად დათოვლილ ველზე მარხილი მისრიალებსო, ისე გაგვაქროლა ვერტმფრინავმა ღრუბლის სარკეზე.

მალე მზემ დაამსხვრია ნისლისა და ღრუბლის ეს ელვარე სარკე, და გამოჩნდა ხელისგულისტოლა ვაკეზე შეფენილი მთათუშეთის მთავარი სოფელი ომალო. გამოჩნდა მთაგრეხილის ხეობებში ვერცხლისწყალივით ჩაღვრილი ორი ალაზანიც... ერთს გომეწრისა რომ შეარქვა ხალხმა, მეორეს — პირიქითი. გოშეწრის ალაზანი ბორბალოს მთიდან გამოდის, პირიქითი ალაზანი კი — სულ სხვა მთაგრეხილიდან იწყება. ამ მდინარეებს საუკუნეების მანძილზე უთხრიათ, უნგრევიათ მთათა გულმკერდი, უძარნიათ ერთმანეთი და აჰა, სოფელ შენაქოს მახლობლად კიდევაც შეერთებულან ერთ კალაპოტში, ერთად გასულან ქართული მიწიდან და დაღესტნის გზით გაუწევიათ კასპიის ზღვისაკენ.

ყველაფერი მომხიბვლელია სოფელ ომალოში. ცა ნამდვილად „ფიროსმანის დახატულია“, მზე ისე ახლოა, თითქოს ხელით მისწვდები... ამ სოფლის, რომ იტყვიან, ერთი არწივის ფრთა რომ დაფარავს, იმოდენა მოედანს, ფრაქალით ოსტატურად ნაგებ შენობებს ჯავანჩაცმული მთები დარაჯობენ.

. რა მშვენიერია დილა ომალოში.

„გაიხედ-გამოიხედავ,
გაღმა-გამოღმა მთენია,
მთას ნისლი შემოხვევია,
მზეს ცეცხლი წაკიდებია“.

ბევრჯერ თქმულა: ქართულ ჩუქურთმებში — გელათსა თუ ალავერდში, სვეტიცხოველსა თუ ვარძიაში, ნიკორწმინდასა თუ იშხანში, ბექა და ბეშქენ ოქიზარების ოქროთმონაქარგებში თუ სხვა დიდ ხელოვანთა ფრესკებსა და ორნამენტებში — ადამიანის თვალსა და გონებას იპყრობს ხელოვნების მარად უკქნობი სიახლე, ქვაში სულჩადგმული, თავისებურად, ზოთასებურად, ბექასებურად ამღერებული სიცოცხლე.

ერთი შეხედვით ყველა ეს ჩუქურთმა ერთმანეთის მსგავსია. ეს ოქრონაქედობა, ხელნაწერთა მოხატულობა ყველა ერთად თითქოს ერთმა კაცმა ერთი ამოსუნთქვით, ერთი ხელის მოსმით მოაქანდაკა.

ვისაც სურს დარწმუნდეს როგორ ჰგავს თავისი მომხიბვლელობით ქართული ორნამენტი საქართველოს ბუნებას, აუცილებლად უნდა ნახოს კავკასიის ქედში ჩაწნულ-ჩაგრეხილი ორი ალაზნის დედა — მთათუშეთი.

ამ განუმეორებელი სილამაზის ხანახავად, იმ ადამიანების ხანახავად, ვინც ბატონ-პატრონობს ამ სიმშვენიერეს, ვინც უფრო მიმზიდველად და მომხიბვლელად ქარგავს მას —მთათუშელ მშრომელ ქალებთან შესახვედრად უურნალ „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგიის ინიციატივით აქ მოვიდნენ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორია სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზინაიდა კვაკაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თამარ ლაშქარაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნინო ყვანია, პროფესორი ქსენია სიხარულიძე, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ელენე ჩოჭუაშვილი, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარის მოადგილე თამარ მანაგაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის განყოფილების ინსტრუქტორი ნინო ჯამასპიშვილი, თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მედეა მეზვრიშვილი და ამ შესანიშნავი ღონისძიების ინიციატორი, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი თეო აბაშმაძე.

გულთბილი შეხვედრები მოეწყო ომალოში, შენაქოსა და დიკლოში.

შენაქოში, სოფლის განაპირას, კამკამა წყაროსწყალთან იჯდა ას წელს მიღწეული მარკოზ სეხნაიძე. ვერტმფრინავიდან უცხო სტუმრები რომ გადმოვიდნენ; იგი მკვირცხლად წამოდგა.

ეს სოფელი ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთი — მაღლობზეა შეფენილი, მეორე — ხეობაში სათიბებთან არის მოკალათებული. პირველში ზაფხულობით ცხოვრობენ შენაქოელები— იქ ყოველთვის საამურად ქრის მთის ნიავი; მეორეს — ზამთრობით ჩაკითხავენ ხოლმე — იქ სითბოა მეტი, შენობებს ტყე და მთა-გორები დარაჯობენ.

მარკოზ სეხნაიძე გამოეცნაურა სტუმრებს. გაუხარდა: მთათუშეთი საქართველოს ტკბილი დედაა, ხშირად უნდა მოაკითხოთო — თქვა გალიმებულმა...

წყაროს იქით, თავის ზვინიდან შავთვალწარბა, ცქრიალა გოგონა ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა მარკოზ სეხნაიძესთან მოსაუბრე სტუმრებს. გამოვეცნაურეთ. იგი აღმოჩნდა დარიკო იმედაძე — ნაბეჭდთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწველავი. მისი ბრიგადირია კოსტა მოზაიძე. დარიკო ოც ძროხას უვლის თურმე. თვითეულმა ძროხამ წელიწადში 1250 ლიტრი რძე უნდა მოიწველოს. დარიკოს ეს გეგმა უკვე შესრულებული აქვს. ახლა ყოველდღიურად გეგმის ზევით აბარებს რძეს. სულ ამ ფერმაში 100 მეწველი ძროხაა. ყველა კარგად არის მოვლილი და მათი პროდუქტიულობაც საუკეთესოა.

ფერმას ათასობით ცხვარი ჰყავს. ალვანის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი კ. ჯამრულიძე) წელს მთათუშეთის საძოვრებზე დიდი რაოდენობით მოიმარაგა თივა და პირუტყვის სხვა საკვები.

მარკოზ სეხნაიძემ — მთათუშეთის წარსულისა და აწმყოს ამ ცოცხალმა მემატიანემ — ბევრი რამ უამბო სასურველ სტუმრებს.

— სამოდე წლის წინათ, — თქვა მან, — აქ ჩვენი რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად ცხენით ამოვიდა ვასილ მეკავნაძე. სულ წვრილწვრილად გამოგკითხეს როგორ ცხოვრობთ, რა გვიჭირს და რა გვილხინს. „მაშინ მაღლა სოფელში წყალი არა გვქონდა, ვუთხარი, არ დამიმალავს... შეგვპირდნენ, წყალი აუცილებლად გექნებათო... და აი, ასლა თვითონ ნახეთ. სოფლის სიხარულს საზღვარი არა აქვს, სასმელი წყლისათვის იმ ხეობაში ჩასვლა და ამოსვლა არ გვჭირდება, პირდაპირ ეზოთან მოჩხრილებს...

მერე იყო და სინათლესაც შეგვპირდნენ. სიმართლე გითხრათ, ეჭვი მეპარებოდა, გულში ვამბობდი, ეს ჩვენი ხელისგულისტოლა სოფელი რაა ისეთი, რომ ნაკუთარი ელექტროსადგური აგვიშენონ მეთქი, მაგრამ ესეც გაგვიკეთეს. აბა ნახეთ, დაღამდეს, როგორ გაგვჭიკრებით ცაში ვარსკვლავებს.

ახლა აი აქ ახალგაზრდა ტყეს შეხედეთ, ძალიან მოეწონათ, გვითხრეს: ეს დიდი სიმდიდრეა, ქვეყნის სილამაზეა, უნდა მოუარითო. და ჩვენც თვალისჩინებივით ვუვლით, წყნელი რა არის, ტყიდან ისიც უნებართოდ არავის გამოაქვს.

ომალოში სახერხი ქარხანაც აგვიშენეს... იცით, რას ნიშნავს მთათუშეთისათვის სახერხი ქარხანა?...

კიდევ ბევრ საინტერესო ამბებს მოპყვა მარკოზ სეხნაიძე. სტუმრები ენაშეიპატიჟა. როცა ეს არ მობერდა, თუშ ქალებს გადახედა, მაგრამ მისი გადახედვა საჭირო არ იყო, თვალის დახამხამებაში მინდვრად გაჩნდა თუნგით ცივი ლუდი და ცხელ-ცხელი ბაჯაპურები.

რაღაც მეტად თავისებური, ტკბილი, მომბიბველი იერი ჰქონდა ამ შეხვედრას. სადღეგრძელო, დალოცვა ისე უმანკო, ალალი და თბილი იყო, როგორც დედის უბე, დედის გული პირმშოსათვის.

სტუმრებმა და მასპინძლებმა ფეხით გაიარეს საკმაოდ დიდი მანძილი სოფელ დიკლოდან ციხის ნანგრევებამდე, საქართველოს იმ საზღვრამდე, სადაც მდინარე ალაზანი სახელს იცვლის და ანდაქის ყოისად წოდებული მიედინება დაღესტნის მთათა ხეობებში.

მთავარი შეხვედრა მოეწყო მთათუშეთის ცენტრში — [illegible] მწვანე მოედანზე შეიკრიბნენ თუში ქალები, მოსწავლეები, [illegible] ობის მუშაკ[illegible] ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბატიაშვილმა. მთათუშეთის ქალებს, მოსწავლეებს გადაეცათ სხვადასხვა საშახსოვრო საჩუქრები.

ამაღლებული შეხვედრა იყო. ყველანი — სტუმრებიც და მასპინძლებიც დიდად კმაყოფილი იყვნენ ამ შესანიშნავი ღონისძიებით.

...ვერტმფრინავი მოსწყდა ომალოს მიწას და გუგუნით აიარა ჰაერში, სოფელში დარჩა ასობით მოღიმარი სახე და სიყვარულით გამთბარი გული. ქაბინაში ყურთასმენა არ არის, ერთმანეთის ხმა არ გვესმის. თეო აბაშმაძემ ქაღალდი და ფანქარი გვთხოვა. პატარა მრგვალი სარკმლიდან მზემ შემოანათა, ჩანდა ღრუბლებს გავცდით. ყოველ წუთში ახალ-ახალი თვალწარმტაცი სურათები იხატებოდა ჩვენს ქვემოთ. გვეგონა, ხან ჩვენ მივდევდით ღრმა ხეობაში ჩაღვრილ ნაკადულებს.

თეომ ნაწერი მოგვაწოდა.

„გაისად აუცილებლად ზემო სვანეთში წავალთ“ — ასე ეწერა იმ თეთრ ქაღალდზე. ყველამ წაიკითხა, ყველამ აუბა მხარი ამხანაგს...

მაგრამ... ამ წერილს რომ ვწერ, მეტად მწარე სევდა მიპყრობს. ვაი რომ ჩვენი თეო, მუდამ ხალისიანი, სიახლის, ინიციატივის მოთავე, თავისი ხალხის, მზის და მიწის ესოდენ მოტრფიალე, უდროოდ, მოულოდნელად გამოეთხოვა სიცოცხლეს და ვერ შეძლებს აისრულოს ეს უკანასკნელი ოცნება...

ერთი კი ცხადია. მისი ახლო მეგობრები არ დაივიწყებენ ამ ხურვილს და ასეთი საქმიანი შეხვედრა შორეული მთის სოფლების მშრომელ ქალებთან სხვაგანაც ბევრჯერ გამეორდება.

ბ. თათარიშვილი.

• • •

სურათზე: ვერტმფრინავი მოვიდა სოფელ ომალოში.

ფოტო ბ. დადვაძისა.

რთველი შეაჯამებს...

„კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“ და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივი რეიდი

რთველი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ყურძნის მაღალი მოსავლისათვის ბოძოლაში. იგი აჯამებს მევენახის შრომის შედეგებს. ყურძნის ამ დღესასწაულს შესახვედრად განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოემზადნენ გურჯაანელი მევენახეები. არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად, წელს მათ შეძლეს უხვი მოსავლის მოყვანა. გურჯაანელებმა გადაწყვიტეს ნაცვლად 37.796 ტონისა სამშობლოს მისცენ 40 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი.

შექმნილია რაიონული შტაბი, რომელიც ოპერატიულად ხელმძღვანელობს ყურძნის კრეფის, ჩაბარებისა და გადამუშავების საქმეს. რთველი წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. მეურნეობებში იციან რომელ დღეს და რამდენი ყურძენი უნდა მოკრიფონ და რომელ ქარხანას ჩაბარონ. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილი არიან ტრანსპორტით, ტარითა და სხვა საჭირო ინვენტარით. მეურნეობის ავტომანქანები ემსახურებიან რაიონის მოსახლეობასაც. საკარმიდამო ნაკვეთებიდან შრომელები წელს 13 ათასამდე ტონა ყურძენს მიჰყიდიან სახელმწიფოს. გურჯაანში იზრუნეს იმაზეც, რომ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს სკოდნოდათ რა უნდა მიიღონ ყოველი კილოგრამი ყურძნისათვის. ამ მიზნით აქ მასობრივი ტირაჟით დაბეჭდეს ნიხრი, რომელშიც მითითებულია ყურძნის გადიდებული შესასყიდი ფასები ჯიშებისა და მაქრიანობის მიხედვით.

მაღალ მოსავალს იღებენ მუკუზნის, კარდანახისა და შრომის ბევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში, სოფელ ვაზნისუბნის, ჭანდარის, ველისციხის ღვინის ბრიგადის, ჩუმლაყის კალინინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. ჩვენ ვიყავით სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე რ. კრაწაშვილი). იგი რაიონში ერთადერთი საზოგადოებრივი მეურნეობაა, რომელიც ვერ ასრულებს სახელმწიფოსთვის ყურძნის ჩაბარების დავალებას. კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ა. კიკონიშვილი ჩამორჩენის მიზეზად ვენახების სიმეჩხრეს თვლის. მართლაც, კოლმეურნეობაში არის ნაკვეთები, სადაც ვაზის სიმეჩხრე 70 პროცენტს აღწევს. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ყურძნის დიდ მოსავალზე. ლაპარაკიც ზედმეტია. კოლმეურნეობას აქვს სიმეჩხრის ლიკვიდაციის გეგმა, რომელიც სანახევროდაც არ სრულდება. უხარისხოდ წარმოებს ახალი ვენახების გაშენება. 1963 წელს გაშენებული 60 ჰექტარი ვენახის ხახვევარზე მეტი მოუვლელობით გადახმა.

ასეთი უთავბოლობის მიზეზი ის არის, რომ კოლმეურნეობაში არ არის შრომის სწორი ორგანიზაცია, სუსტია დისციპლინა. კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია საკლებად ზრუნავენ სოფლის მშრომელთა მატერიალურ წახალისებაზე. ამის გამო კოლმეურნეები არ იჩენენ არავითარ ინიციატივას, ზოგჯერთი მათგანი კი საერთოდ თავს ირიდებს საკოლმეურნეო შრომას.

ჩვენ ვნახეთ ამ კოლმეურნეობის ვენახები. ირტელის წევრებს ნ. ბაწაშვილს და ლ. სამადაშვილს მოსავლიან თვითეულს მიჩენილი აქვს 0,6 ჰექტარი ვენახი. ვენახებში მათ ვაზის მოვლისა და ნიადაგის დამუშავების ყველა ღონისძიება როდი გაუტარებიათ. ამის შედეგად ვაზები სარეველებს დაუფარავს და ერთი შეხედვით ვერც მეგობარს ეცნობა, რომ აქ ვენახია. ეარეს მდგომარეობაშია ვ. ჯერანაშვილისათვის მიჩენილი 0,8 ჰექტარი ვენახი.

მეშახელის ნაკლებობას უჩივის სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ე. სხირტლაძეც. და ეს მაშინ, როცა 706 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან 15 ივნისიდან 15 აგვისტამდე 115 კაცს სრულიად არ მიუღია მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში. კიდევ უფრო დიდია იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომელთაც არ გამოუმშავებიათ შრომადღეების საკალდებული მინიმუმი. ესენი უმეტესად ქალებია, რომლებსაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ. მათ არ შეუძლიათ სამუშაოდ გამოსვლა, რადგან კოლმეურნეობაში არ არის არც სამაგვრო ბაღი, არც ბაგა.

წელს სოფელ გურჯაანის კოლმეურნეობას კარგი ვენახები აქვს. 1.500 ტონა ყურძნის მიღებას ველოდებენ. ეს კი დიდად მუშახელს მოითხოვს. გამგეობამ უნდა უზრუნველყოს რთველში ყველა კოლმეურნის მონაწილეობა.

მოსავლის უდანაკარგოდ გადამუშავება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიემზადნენ ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები. გურჯაანის რაიონის ექვსივე ღვინის ქარხანა ძირითადად მზად არის ახალი მოსავლის მისაღებად და გადასამუშავებლად. შესაძლებელია გაიზარდა მათი გამტარუნარიანობა. ქარხნები აღიჭურვა ახალი მანქანა-დანადგარებით. აშენდა ახალი რკინაბეტონისა და ხის ბუტები, შეიძინეს ტვეერები. მარტო ველისციხის ღვინის ქარხანაში (დირექტორი ი. სიხარულიძე) საექსპლოატაციოდ გადაეცა 120.000 დეკალიტრის ტევადობის რკინაბეტონის ბუტები. აქ უკვე დამთავრდა საორთქლე სკვნის და ხარჩენების გადამამუშავებელი საამქროს მშენებლობა. თუ წინათ ქარხანა წელიწადში 1.500-2.000 ტონა ყურძენს აკუმულირებდა, ახლა შეუძლია 7.000 ტონა მიიღოს.

მიუხედავად ამისა, რაიონის ზოგიერთ ღვინის ქარხანაში არის დაუმთავრებელი სამუშაოები, რომელთა დამთავრებაზე რთველის დაწყებამდე უნდა იზრუნონ. „სამტრესტის“ წინანდლის სამშენებლო სამმართველოს (უფროსი უ. ჯაჯანიშვილი) მოუქნელი მუშაობის შედეგად ისევე, ველისციხის ღვინის ქარხანაში ჯერ კიდევ არ დაუწყიათ ჯაჭის შესანახი აუზების მშენებლობა. ქიაჩერდება კარდანახის ღვინის ქარხნის ტერიტორიის კეთილმოწყობა, აგრეთვე ხის ბუტების შესახები ფარდულის გადახურვა.

მეკუჭნაში შენდება კიდევ ერთი ღვინის ქარხანა, რომლის პირველი რიგი მშენებლებს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცათ 25 სექტემბრისათვის, მაგრამ აქ ჯერაც არ დაუთავრებიათ ყველა დანადგარის მონტაჟი.

გურჯაანის რაიონის მევენახეები რთველის პერიოდში დიდ პასუხისმგებლობას გრძნობენ. კომუნისტები და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელმძღვანი ჯგუფების წევრები წინ უძღვიან ლაშქრობას სამუშაოდ. ამ ბრძოლაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს ეკავება ბრიგადირების, ბრიგადიერების, ოსტატების, ტრაქტორისტების, ავტომძღოლების, ბაღაურების, ბაზრიერების, ბაზრიერ-ბაღაურების, ბაზრიერ-ბაღაურ-ბაზრიერ-ბაღაურ-ბაზრიერ-ბაღაურ-

მოსკოვი ტაშს უკრავს

ოთარ თაქთაქიშვილის ორატორიის დიდი წარმატება



ო. თაქთაქიშვილი.

ი. აბაშიძე.

მოსკოვი, 25 სექტემბერი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს აქ საბჭოების სასახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა სიმფონიური მუსიკის კონცერტო სეზონი.

სიმფონიური მუსიკის მოყვარულებს. დღეს საშუალება მიეცათ დედაქალაქში პირველად მოესმინათ ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ოთარ თაქთაქიშვილის ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელსაც საფუძვლად უდევს პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის შ. რუსთაველის პრემიით აღნიშნული ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა; რუსთაველის ნაკვალევზე“. ორატორია დაწერილია სოლისტის, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის.

ორატორია შეასრულა საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდმა სიმფონიურმა ორკესტრმა და დიდმა გუნდმა რსფსრ დამსახურებული არტისტის გ. როჟდესტვენსკის დირიჟორობით. გუნდის მხატვრული ხელმძღვანელია რსფსრ სახალხო არტისტი, პროფესორი ა. პტიცა, სოლისტი — მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ალ. ვედერნიკოვი.

საბჭოების სასახლის ვრცელ სვეტებიან დარბაზში რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. აქ იყვნენ დედაქალაქის ლიტერატურისა და ხელოვნების ჩამოჩენილი წარმომადგენლები, კომპოზიტორები, მწერლები, მსახიობები, ჟურნალისტები, მოსკოვის მშრომელები, აგრეთვე საქართველოს კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი.

კონცერტს ესწრებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე.

დარბაზში იყვნენ ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში ნ. ტიხონოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. ზავადსკი, ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორი დ. კაბალევსკი, დიდი თეატრის მსახიობები, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორები.

კონცერტის დაწყების წინ რადიოს დიქტორმა მსმენელებს გააცნო ორატორიისა და მისი ლიტერატურული საფუძვლის შექმნის მოკლე ისტორია.

ორატორიამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ღრმა შთაგონებითა და გულში ჩამწვდომად შეასრულა თავისი პარტია სოლისტმა ა. ვედერნიკოვმა, ბრწყინვალედ ხმოვანებდა გუნდი.

კონცერტზე დამსწრენი მხურვალე ოვაციით შეხვდნენ ორკესტრის, გუნდის, სოლისტის და დირიჟორის ხელოვნებას, ხოლო როცა სცენაზე გამოვიდა ორატორიის ავტორი ოთარ თაქთაქიშვილი, ყველანი მხურვალედ დიდხანს მიესალმებოდნენ მას.

კონცერტის დამთავრების შემდეგ ჩვენთან საუბარში დ. კაბალევსკიმ თქვა, რომ ეს არის უაღრესად ძლიერი, მაღალი, კეთილშობილური გრძნობის ნაწარმოები, რომელიც მუდამ დარჩება სიმფონიურ ლიტერატურაში. იგი ბევრ საინტერესოს და ახალს გვეუბნება ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებით პალიტრაზე.



— დიდი სიამოვნება მომანიჭა ამ ნაწარმოებმა, — ამბობს ი. ზავადსკი, — ორატორია ჯეშმარიტად ღრმა და ძლიერი ნაწარმოებია. მთელი გულით მივესალმები და მივულოცავ დიდ გამარჯვებას მის მაღალნიჭიერ ავტორს.



ᲛᲝᲜᲐᲒᲚᲘᲤᲠᲘ ᲤᲝᲢᲝᲜᲘᲫᲠᲘ

ᲥᲝᲤᲘᲚᲮᲐᲠᲗ თᲥᲕᲔᲜ მთა-თუᲨᲔᲗᲘᲡ? ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲤᲘᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲨᲚᲘᲚᲐ ᲐᲚᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲗᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲘᲑᲔᲑᲘ.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ფილმს იღებენ ლენინის სამშობლოში

ლენინის სამშობლოში დაიწყო მეცნიერულ-პოპულარული ფილმის „ვლადიმერ ულიანოვის“ გადაღება კინოდრამატურგ ლევ გორინის სცენარის მიხედვით. ფილმს იღებს ლენინგრადის მეცნიერულ-პოპულარული ფილმების სტუდიის ჯგუფი რეჟისორ ბორის ვოლკოვიჩის ხელმძღვანელობით.

ფილმში გაშუქებული იქნება ახალგაზრდა ლენინის რევოლუციური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, მისი ცხოვრება სიმბირსკში, ყაზანსა და სამარაში. პირველად იქნება გამოყენებული დოკუმენტები, რომლებიც ამას წინათ აღმოაჩინეს გორკის, კუბიშევის ოლქებისა და თათარეთის ასს რესპუბლიკის არქივებში. მათ შორის არის 1887 წლის დეკემბერში ყაზანის უნივერსიტეტში სტუდენტთა შეკრების მონაწილეების, ყაზანის ფედოსეევის მარქსისტული ჯგუფის აქტივისტების უცნობი ფოტოსურათები.

კინოფილმი „ვლადიმერ ულიანოვი“, რომლის გადაღება მიმდინარე წელს დამთავრდება, შეეხო ლენინიანაში, რომელიც იქმნება საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. (საკუთარი კორ.).

ულიანოვსკი.

მასპინძლობენ ჰიათურელი მეღარეები

ჰიათურა. (საკ. კორ.). ქართული მარგანეცის ქალაქში იმყოფებოდა უკრაინელ მაღაროელთა დელეგაცია, რომელსაც მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე თ. კისელიოვი ხელმძღვანელობდა.

უკრაინელი სტუმრები ეწვივნენ ყალინინის, ლენინის სახელობის, პერეკოპის მაღაროებს. ესაუბრნენ წარმოების ნოვატორებს, სპეციალისტებს, ერთმანეთს გაუზიარეს საწარმოო გამოცდილება, გაეცნენ მათს შრომასა და ყოფაცხოვრებას.

პერეკოპელმა მაღაროელებმა უკრაინელი სტუმრები სოფელ სხვიტორში წაიყვანეს, სადაც მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს დიდი ქართველი მგოსნის ა.კ. წერეთლის სახლ-მუზეუმი. უკრაინელებმა ინახულეს აგრეთვე კურორტი კვერეთი.

უკრაინელი და ქართველი მაღაროელების შეხვედრები ხალხთა მეგობრობის საუცხოო დემონსტრაციად იქცა.

მაცხვილი სიცილისა

1937 წელს, როცა ცნობილმა საესტრადო მსახიობმა ლევ მიროვმა წყვილი კონფერანსის შექმნის სურვილი გამოთქვა, ესტრადის სპეციალისტებს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდათ. მიროვის იდეას მხარი არავინ დაუჭირა. უფრო მეტიც: აქა-იქ სკეპტიკოსთა სიცილიც ისმოდა. რათ უნდა ერთ კონცერტს ორი კონფერანსიე? ვის უნახავს? — ამბობდნენ ისინი, — საესტრადო დუეტი უნდა დუეტად დარჩეს და ცალკე ნომრად უნდა მიიღოს კონცერტში მონაწილეობა.

მაგრამ მიროვი ენთუზიაზმი ვერავითარმა ძალამ ვერ ჩააქრო. რამდენიმე ხნის შემდეგ შავი ზღვის სანაპიროს ერთერთი საკონცერტო დარბაზის სცენიდან იგი პარტნიორთან ერთად წარსდგა მაყურებლის წინაშე. წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. კონცერტის შემდეგ ხალხმა ოვაცია გაუმართა წამყვანებს. ასე დაიბადა ახალი ჟანრი, რომელშიც მიროვი და დრსკი პირველები იყვნენ. გავიდა დრო. წყვილი კონფერანსი მაყურებლის საყვარელ ჟანრად იქცა. სიახლემ ახალი მიმდევრები იპოვა.

როდესაც საუბარია წყვილი კონფერანსის ვანსაკუთრებულ დამსახსოვრებელ თავისებურებებზე, შეიძლება დავასახელოთ ალექსანდრე შუროვი და ნიკოლოზ რიკუნინი, რომლებიც ამჟამად თბილისში არიან და ფილარმონიის საზაფხულო თეატრში მართავენ კონცერტებს.

კონცერტზე მისული მაყურებელი გახარებულია ჯერ კიდევ ფარდის ახდამდე და ეს მხოლოდ საყვარელ მსახიობებთან შეხვედრით კი არ არის განპირობებული, არამედ იმით, რომ მაყურებელმა იცის — ხუმრობასთან ერთად იქნება ბრძოლა ავისა და ნაკლის წინააღმდეგ.

საჭირბოროტო საკითხი — აი, რაშია ა. შუროვისა და ნ. რიკუნინის კონცერტის არსი.

ინტერმედია, მუსიკალური ფელეტონი, კონფერანსი, — ასეთია კონცერტი ჟანრობრივად.

იყო დრო, როცა ჩვენი სტუმრების საესტრადო დუეტი სამი შემსრულებლისაგან შედგებოდა; ა. შუროვი, ნ. რიკუნინი და... როიალი. მაგრამ დრომ კიდევ გაზარდა ანსამბლი. ახლა აქ ინსტრუმენტული კვარტეტიც არის, რომელიც უაღრესად მუსიკალურად უკრავს. კვარტეტის თანხლება რბილია და ანსამბლური. მუსიკოსები უკრავენ კიდეც და როლებსაც ასრულებენ იმ მცირე თეატრში, რომლის მთავარი გმირები არიან ალექსანდრე შუროვი და ნიკოლოზ რიკუნინი.

ზ. რცხილაძე.

სურათზე: ესტრადაზე არიან ა. შუროვი (მარცხნივ) და ნ. რიკუნინი.

მსოფლიოს ჩემპიონის უპირატესობით

რიგა. 25 სექტემბერი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). ჩემპიონი და პრეტენდენტი სპორტულ ბრძოლასთან ერთად განაგრძობენ თეორიულ კამათს. პირველ და მესამე პარტიაში, როგორც ცნობილია, გათამაშდა ლაზიერის მიღებული გამბიტი. დღეს მეოთხე პარტიაში, ისევე როგორც მეორეში, მსოფლიოს ჩემპიონმა ესპანურ პარტიას მიმართა. ოღონდ ამჯერად მან სხვა ვარიანტი გამოიყენა, რომელიც სატურნირო პრაქტიკაში ფრიად იშვიათად გვხვდება. როგორც გამოირკვა, მისი არჩევანი ფსიქოლოგიურად სწორი გამოდგა.

ა. კუშნირმა საკმაოდ მცირე დრო მოანდომა დებიუტის გათამაშებას და სერიოზული შეცდომა დაუშვა. იმის მაგვრად, რომ გაეცვალა თეთრების ძლიერი ცენტრალური პაიკი, მან არასწორად ჩაკეტა თამაში ცენტრში. ამის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი მეთოდურად შეუდგა აქტიურ მანევრებს ლაზიერის ფრთაზე. შავები იძულებული გახდნენ პასიური დაცვით შემოფარგლულიყვნენ.

შუა თამაში მსოფლიო ჩემპიონმა ზუსტად და თანმიმდევრულად ჩაატარა. მან დიდი პოზიციური უპირატესობა მიიღო. შავებს „სუნთქვა უჭირდათ“. მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა როდესაც 32-ე სვლაზე ნონამ მეტოქეს პაიკი შესწირა და სამაგიეროდ გახსნა ხაზი საიერიშოდ.

39-ე სვლაზე კუშნირმა შედარებით სუსტი გაგრძელება აირჩია და ლაზიერების გაცვლის შემდეგ თეთრი ეტლი პრეტენდენტის ბანაკში შეიჭრა. პარტია გადაიდო. მეტოქეებს ორ-ორი ეტლი და ორ-ორი მსუბუქი ფიგურა აქვთ.

მსოფლიოს ჩემპიონი იბრუნებს შეწირულ პაიკს და მხოლოდ დეტალური ანალიზი გვიჩვენებს შეძლებს თუ არა კუშნირი ძლიერი მუქარის მოგერიებას.

გ. გამრეკელი.

• • •

მეოთხე პარტია

ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირი

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. ∂f3 ∂c6 3. ♗b5 a6 4. ♗a4 ∂f6 5. 0-0 ♗e7 6. d4 ed 7. e5 ∂e4 8. ∂:d4 0-0 9. ∂f5 d5 10. ∂:e7+∂:e7 11. c3 c6 12. ♗c2 ∂g6 13. f3 ∂c5 14. ♗e3 ♕e7 15. f4 f5 16. b4 ∂e6 17. ∂d2 a5 18. ba ♖:a5 19. ∂b3 ♖a8 20. ♕d2 ♕c7 21. ♖f2 ♖f7 22. g3 ∂gf8 23. ∂d4 g6 24. a4 ∂:d4 25. ♗:d4 ♗e6 26. ♗b6 ♕c8 27. ♗c5 ∂bd7 28. ♖fb1 ♖a5 29. ♗b4 ♖a8 30. ♗d6 b6 31. ♗d3 ♖a6 32. ♗e2 ♕a8 33. ♕d4 ♕a7 34. ♕b4 b5+ 35. ♕d0 c5 36. ♕d1 b:a 37. ♗b5 a3 38. ♗c6 ∂b6 39. ♕b3 a2 40. ♖b2 ∂a4 41. ♕b8+. ♕:b8 42. ♖:b8+∂g7. ქვემოთ-მოგვყავს გადადებული პოზიცია.



a b c d e f g h

თეთრები: ნ. გაფრინდაშვილი: ∂g1, ♗a1, ♖b8, ♗c6, ♗d6, პ-ბი: c3, e5, f4, g3, h2 (10).

შავები: ა. კუშნირი: ∂g7, ♖a5, ♖f7, ♗e6, ∂a4, პ-ბი: a2, c5, d5, f5, g6, h7 (11).

თეთრებმა ჩაიწერეს 43-ე სვლა.

გამარჯვებულები, პრიზიორები

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში ხელბურთელთა ასპარეზობის უკანასკნელი დღე იყო და შედეგებს პრიზიორთათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. პირველი სამი ადგილის ბედი ბოლოსწინა ტურში იყო გარკვეული.

მიუხედავად ამისა, 1965 წლის ჩემპიონმა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად მიმდინარე პირველობის მესამე პრიზიორთან — „ზაპოროჟალიუმინსტროისთან“ — 26:19 და ამრიგად, დაუმარცხებლად დაამთავრა მთელი ტურნირი.

1965 წლის ჩემპიონატის ფერცხლის პრიზიორს— თბილისს „ბურევესტნიკს“ წმინდა სპორტული ინტერესი ამოძრავებდა კაუნასის „პოლიტექნიკთან“ შეხვედრაში. ქართველ ხელბურთელებს არც ერთხელ არ დაუმარცხებიათ ლიტველ სპორტსმენები.

ორივე გუნდი თამაშის ბოლომდე იბრძოდა. თბილისელები თავიდანვე დაწინაურდნენ და მთელი მატჩის განმავლობაში მიჰყავდათ ანგარიში. მასპინძლები უფრო ზუსტად და მრავალფეროვნად მოქმედებდნენ. ამან განაპირობა საბოლოო შედეგიც. გიამარჯვა თბილისის „ბურევესტნიკმა“ 31:28 (18:14) და პირველი გამარჯვება იზეიმა ბნელ მეტოქესთან.

ჩემპიონატის დამთავრებისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალზე ოქროს ფერცხლისა და ბრინჯაოს მედლები გადაეცათ პრიზიორთა გუნდის წევრებს, სპეციალური პრიზები — საუკეთესო მოთამაშეებს. სხვებთან ერთად სპეციალური პრიზი მიიღეს ი. ფხაკაძემ — როგორც ჩემპიონატის საუკეთესო გარემარბმა და ჯ. ცერცვაძემ — როგორც ყველაზე შედეგიანმა მოთამაშემ. ჯ. ცერცვაძემ თბილისის დასკვნის ტურში 58 ბურთი გაიტანა. სულ ჩემპიონატის მანძილზე კი — 98.

შეხვედრა კიევში

გუშინ კიევში სსრ კავშირის ნაკრებმა ფეხბურთში ამხანაგური საკონტროლო შეხვედრა გამართა მაროკოს არმიის ნაკრებთან.

ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა. ბურთები გაიტანეს: ბ. კაზაკოვმა და ვ. ხმელნიცკიმ (პირველ ტაიმში) და ა. ბანიშევსკიმ.

ჩვენს გუნდში გამოდიოდნენ: იაშინი (კავაზაშვილი), შეგოლკოვი, ბურცილავა, შესტერნიოვი, დანილოვი, პონომარიოვი, აფონინი, ვორონინი, საბო, მეტრეველი, კაზაკოვი, ივანოვი, ბანიშევსკი, ხუსაინოვი, ხმელნიცკი, მესხი.

მატჩები და შედეგები

გუშინ გაიმართა ორი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ტორპედოს“ ფეხბურთელები დონეცკში დამარცხდნენ ადგილობრივ „შახტიორთან“ — 0:2.

მინსკის „დინამოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ ორთაბრძოლა, რომელიც ბელორუსიის დედაქალაქში გაიმართა, დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1:0.

რედაქტორი

დ. მჟელლიშვილი.

მეგობართა გამოფენა

უნგრეთის კავშირგაბმულობის ტექნიკის დემონსტრირება თბილისში

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ საერთაშორისო განაწილებაში, საკუთარი ნედლეულის არასაკმარ ბაზის გამო, უნგრეთის დემოკრატიული რესპუბლიკა მონაწილეობს ნაკლებ მასალატევადი, სამგზეროდ შრომატევადი პროდუქტების ექსპორტით, რომელთა დამზადება მაღალკვალიფიციური შრომას მოითხოვს.

კავშირგაბმულობის ტექნიკა — მის თავისებურებათა გამო — ერთერთი ის დარგია, რომელიც შეეფერება ამ მოსაზრებას. ამიტომ აღნიშნული სამრეწველო დარგის პროდუქცია უნგრეთში კარგადაა უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე მთელი საქარხნო მრეწველობის პროდუქცია.

უნგრეთის კავშირგაბმულობის ტექნიკის მრეწველობა საექსპორტოდ დიდი რაოდენობით ამზადებს ფართო ასორტიმენტის პროდუქციას. თავისი ხარისხითა და შესრულებით აღნიშნული პროდუქცია აყვანილია მსოფლიოს სტანდარტების დონემდე, რაც არაერთხელ დამტკიცდა საერთაშორისო ბაზრებსა და გამოფენებზე.

მომძე უნგრეთის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილის ექსპორტს აწარმოებს „ელექტროიმპეკსი“ — კავშირგაბმულობის ტექნიკისა და ზუსტ მექანიკურ ნაკეთობათა საგარეო ვაჭრობის საწარმო.

ამჟამად „ელექტროიმპეკსი“, გარდა საბჭოთა კავშირისა, საქმიანი ურთიერთობა აქვს მსოფლიოს 70 ქვეყანასთან.

ცნობილია აგრეთვე ხელსაწყოთმშენებელ მლობის ნაკეთობათა უნგრეთის საგარეო ვაჭრობის მეორე საწარმო — „მეტრიმპეკსი“, რომელიც აწარმოებს გასაზომ ტექნიკაში გამოსაყენებელი საკონტროლო ხელსაწყოების იმპორტსა და ექსპორტს. ამ ხელსაწყოთა საექსპორტო ასორტიმენტში შედის ელექტრონული, ელექტრული, ატომგულური, გეოდეზიური, ქიმიური ხელსაწყოები, სხვადასხვა შემადგენლობის ავტომატიკის ელემენტები, ასევე აპარატები, რომლებიც განკუთვნილია ადმინისტრაციული მუშაობის ორგანიზაციისათვის.

და აი, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებს საშუალება მიეცათ საკუთარი თვალით იხილონ უნგრეთის ეს შესანიშნავი ხელსაწყოები და მოწყობილობა.

გუშინ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში მუშაობა დაიწყო მოძმე უნგრეთის ამ ორი საექსპორტო საწარმოს ნიმუშების გამოფენამ. გამოფენის წინადღით მისმა დირექციამ მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ გაზეთების „პრავდის“, „კომსომოლსკაია პრავდის“, „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები. ჟურნალისტებმა შეკითხვებზე ამომწურავი პასუხი მიიღეს.

• • •

სურათზე: უნგრეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ტექნიკისა და ზუსტ მექანიკურ ნაკეთობათა გამოფენის ერთი კუთხე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

გრძოლა სამ დათვთან

ᲓᲐᲣᲨᲢᲘ-ᲧᲣᲛᲘ (ტაჯიკეთის სსრ). (საკუდესი). ტურდიევის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მწყემსის ტაჯი ჰაკიმოვის ბრძოლამ სამ დათვთან ყველანი გააოცა, ბევრი რამის მნახველი მთიელებიც კი.

მწყემსმა დილაადრიან სამოყვარეზე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნახირი მორეკა. მხარზე მწყემსს, როგორც ყოველთვის, ორლულიანი თოფი ეკიდა.

პირუტყვი სამოყვარეზე რომ გაიშალა, ხშირი ბუჩქნარიდან გამოვიდა დათვი და ნახირს ჩამშორებულ ხარს დაუწყო მიპარვა. მხეცი რომ დაინახა, ჰაკიმოვმა მას გზა გადაუღობა. მაგრამ დათვს ეს აინუნშიც არ ჩაუდია. მწყემსმა სწრაფად მოიმარჯვა თოფი და ესროლა. დაჭრილი დათვი ადამიანს ეტაკა, მაგრამ ჰაკიმოვმა მოასწრო ტყვიის დაწლა მეორე ლულიდან და მოკლა მხეცი.

ხეობაში ჯერ კიდევ არ მიწყნარებულიყო გასროლის ხმა, რომ ბუჩქნარიდან მეორე დათვი ჯამოვარდა და მწყემსისაკენ გაექანა. ჰაკიმოვმა ხელახლა გატენა თოფი. და როცა მხეცი მწყემსთან სულ ახლოს იყო, ტაჯიმ ზედიზედ ორჯერ ესროლა. მხეცი განზე გახტა, ბალახზე გაგორდა და უზარმაზარ ქვასთან დალია სული. მწყემსი თვალებს არ უჯერებდა, როცა ქვას იქიდან გამოჩნდა მესამე დათვი! მაგრამ ჰაკიმოვმა მოასწრო თოფის გატენა, დინჯად დაუმიზნა და პირველივე გასროლით ძირს დასცა ეს „დაუპატიჟებელი სტუმარიც“.

სიახლე ᲔᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲨᲘ

სასმენი აპარატი თმისსამაგრში

მოსკოვის სასმენი აპარატების ქარხანამ აითვისა სერიული გამოშვება ხელსაწყოსი სმენის ნერვის ნევრიტით დაავადებულთათვის. შავაყურის ასეთი მძიმე დაავადების დროს ხელია ჩვეულებრივი სასმენი აპარატით სარგებლობა. ნევრიტით დაავადებულთ სუსტი ბგერები არ ესმით, ძლიერი ბგერები კი ტკივილს იწვევს.

— 641 ტიპის ახალი აპარატი, — ამბობს საწარმოს მთავარი ინჟინერი ალექსანდრე ჩებოტარიოვი, — განკუთვნილია ნევრიტებით დაავადებისას სმენის დაკარგვის კომპენსაციისათვის. ხმის სიმაღლის ავტომატური რეგულირების მეოხებით იგი გაცილებით უფრო მეტად აძლიერებს სუსტ ბგერებს, ვიდრე ძლიერებს, და მტკივნეულ გაღიზიანებას არ იწვევს.

აპარატი სულ 60 გრამს იწონის და იკვებება ერთი პაწაწინა აკუმულატორიდან, რომელიც პორტატიული მოწყობილობის მეშვეობით ჩვეულებრივი ელექტროქსელიდან იმუტტება. აპარატს აქვს სადენები, რომლებითაც ბგერა გადაეცემა. მათი სწორი შერჩევა უმატებს ხმის სიმაღლეს და არიდებს გარეშე ხმაურს. პროთეზირების პუნქტებში ავადმყოფს აუღებენ ყურის ნიკარის ტვიფარს და დაამზადებენ ინდივიდუალურ სადენებს.

წელს ქარხანაში დაიწყო 632 ტიპის გაძლიერებული სიმძლავრის სასმენი აპარატის გამოშვება. იგი განკუთვნილია სმენის ყველაზე დიდი დაკარგვის კომპენსირებისათვის, რომლის დროსაც ჯერ კიდევ შესაძლებელია პროთეზირება, განსაკუთრებით ძვლით გამტარობისას. ეს აპარატი წარმოადგენს მცირეგაბარიტიან გამაძლიერებელს ხუთ ტრანზისტორზე ორტაქტიანი გასასვლელით. აქვს მოწყობილობა ტელეფონით ლაპარაკისათვის, რომელიც გამორიცხავს გარეშე ხმაურს. კვების წყაროა „კრისტალის“ ტიპის მშრალი ელემენტები.

დაიწყო სო-2 აპარატების — სასმენი სათვალეების გამოშვება. ამ აპარატის ერთერთი მოდელის დანიშნულებაა ბგერის გადაცემა ორივე ყურში. ამჟამად წარმოებს მუშაობა საცდელი პარტიის გამოშვებაზე.

შექმნილია 631 ტიპის უფრო სრულყოფილი სასმენი აპარატიც. მას მინიატიურული თმისსამაგრის ფორმა აქვს და თავისუფლად თავსდება ქალის ვარცხნილობაში. აპარატი მზადდება ორი მოდელისა — იმ პირთათვის, რომლებსაც ბგერის ჰაერითა და ძვლით გამტარობა აქვთ. მისი კვების წყაროა კადმიუმ-ნიკელის დისკოიანი აკუმულატორი. იგი უზრუნველყოფს აპარატის მუშაობას 8-12 საათის განმავლობაში და იმუტტება ქსელიდან. „თმისსამაგრი“ აკუმულატორიანად 30 გრამს იწონის.

ᲩᲐ ᲕᲘᲪᲘᲡᲝᲗ, ᲩᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲔᲘᲠᲝᲗ

თეატრები

26 სექტემბერი

რიგის რუსული დრამატული თეატრის გასტროლები (გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში) — განგვესჯეთ, ადამიანებო (დღის 12 ს. და საღამოს 7 ს. და 30 წ.), **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — შეხვედრა (დღისით მე-2 და გაცდენილი აბონემენტები და საღამოს უაბონემენტოდ), **მარჯანიშვილის სახელობის** — მკვდრის მზე (დღისით, 24-ე აბონ. მე-8 წარმოდგენა), თამაში ქვაეის ყანაში (საღამოს, შე-19 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სტუდენტები (დღისით), სიმოერა თბილისზე (საღამოს), **ფილარმონიის საზაფხულო** — მოსკოვის პატარა საესტრადო თეატრი — ორი მუშაეტერი (საღ. 8 ს.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — შაითან ხიხო (№ 11 აბონ. დღის 11 ს. და 30 წ., № 3 აბონ. საღ. 6 ს.).

ტელევიზია

26 სექტემბერი

11.00 — ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ (მესამე და მეოთხე გაკვეთილის გამეორება), 11.10 — მხატვრული ფილმი „ვინ შეკაზმავს ცხენს“, 12.30 — „გიწვევთ ტაბილ ყურძენზე“ (გადმოცემა კინონიოვიდან), 13.30 — „მუსიკალური ინტერმეცო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — კონცერტი (გადმოცემა როსტოკიდან), 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00— გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.45 — კვირის ამბები რუსულ ენაზე, 18.00 — კონნარკვეი, 18.20 — გადაცემა „იცით თუ არა“..., 18.35 — კონნარკვეი, 18.45 — ახალი წიგნები, 19.00 — კონნარკვეი, 19.10 — რუსთველიანა — „რუსთაველი და მისი ეპოქა“, 19.30 — მხატვრული პროგრამა.

27 სექტემბერი

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — დოკუმენტური ფილმი, 17.50 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „12 თვე“, 18.50 — მხატვრული ფილმი „ბოდიში, თქვენ ველით სიკვდილი“, 20.00 — მხატვრული პროგრამა, 22.10 — ახალი ამბები.

დისერტაციის დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1965 წლის 20 ოქტომბერს დღის 2 საათზე № 18 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 18) პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **არჩილ მიხეილის-ძე ლოლუა** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„წვევამდელი და ახალწვეული ახალგაზრდობის აღზრდის საკითხები.“**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-02-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-34, სოფლის მეურნეობის — 8-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, უცხოეთის — 8-15-68, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68443 ფე-12280

ხელ. ᲒᲐ ᲒᲚᲣᲮᲘᲡ გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.